საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1669 2016 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ტბებისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 21 ივნისის №21/06/11 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „ტბების“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №493 განკარგულებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „ტბების“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ტბებისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 21 ივნისის №21/06/11 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „ტბების“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა

განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №493 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. შპს „ტბებმა“ (ს/კ: 400007666) ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაწყურში მდებარე 13 700 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 288 კვ.მ, №2 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 92 კვ.მ, №3 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 35 კვ.მ, №4 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 15 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №64.31.04.403), უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, ამ განკარგულების გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ტბები“ გათავისუფლდეს მასსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) შორის 2011 წლის 30 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

4. ამ განკარგულების პირველი და მე-3 პუნქტები ძალაში შევიდეს მას შემდეგ, რაც შპს „ტბების“ მიერ შესრულდება ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობა.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით,

განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**